საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნინო გველესიანი

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ხათუნა მიქია

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.09.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 075/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მზია თომაშვილის /სიითი №1948/1/ მიმართ

ადვოკატის წარმომადგენელი: ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი /სიითი №0854/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მზია თომაშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 12 სექტემბერს საჩივრით მომართა ნინო გველესიანმა და მოითხოვა ადვოკატ მზია თომაშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 11 მაისის; 2023 წლის 21 და 30 ივნისის განხილვის კოლეგიის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომებზე. საჩივრის ავტორი 11 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომას ესწრებოდა წარმომადგენელთან - ხათუნა მიქიასთან ერთად.

1.2 ნინო გველესიანის განცხადებით, მას, ა. დ.-ის სასარგებლოდ ჰქონდა სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც სრულად შესრულდა მის მიერ, რაც დასტურდება მხარეებს შორის შედგენილი ხელწერილით. მიუხედავად ფინანსური ვალდებულების შესრულებისა, 2018 წლის 19 ნოემბერს, ა. დ.-მა ნინო გველესიანის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ნინო გველესიანისათვის 7460 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატ მზია თომაშვილს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მზია თომაშვილმა განუმარტა, რომ ვინაიდან მას გააჩნდა თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მარტივად შეძლებდა სასამართლოში საკუთარი პოზიციის დადასტურებას. ადვოკატ მზია თომაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი, სასამართლოს მიერ განსაზღვრული 10 დღიანი ვადის დაცვით და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ განეხორციელებინა საპროცესო მოქმედებები. მხარეები შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების საფასურზე, რაც 1000 აშშ დოლარს შეადგენდა. საჩივრის ავტორმა ჰონორარი ნაღდი ანგარიშსწორების გზით სრულად გადაუხადა ადვოკატს. 2018 წლის 21 დეკემბერს ნინო გველესიანმა ადვოკატ მზია თომაშვილს გაუფორმა მინდობილობა, რომლის მიხედვითაც მზია თომაშვილს ნინო გველესიანის ინტერესები უნდა წარმოედგინა ყველა ინსტანციის სასამართლოში.

1.4 ნინო გველესიანის განმარტებით, ადვოკატ მზია თომაშვილს პერიოდულად უკავშირდებოდა მობილური ტელეფონის საშუალებით და მისგან იღებდა ინფორმაციას, რომ მის საქმეზე არაერთი სხდომა ჩატარდა, შეიცვალა საქმის განმხილველი მოსამართლე და ა.შ.. ადვოკატი არწმუნებდა, რომ სასამართლოში მისი გამოცხადება საჭირო არ იყო და დამოუკიდებლად გაუძღვებოდა საქმისწარმოებას, მიუხედავად ამისა, ადვოკატი არ დაესწრო 25.11.2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულ სასამართლო პროცესს და არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღზე, რის გამოც 2019 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება (საქმე N2/33665-18), რომლის მიხედვითაც სრულად დაკმაყოფილდა ა. დ.-ის სარჩელი და ნინო გველესიანს ა. დ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა. ნინო გველესიანის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მიიღო თავად, საქალაქო სასამართლოში საქმის გადამოწმების შემდეგ, ვინაიდან ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს, ხოლო როდესაც ოფისში მიაკითხა მზია თომაშვილს, თანამშრომლებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ადვოკატი საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

1.5 ნინო გველესიანის განმარტებით, ადვოკატ მზია თომაშვილის ქმედებების შედეგად მიადგა მატერიალური ზიანი და იძულებული გახდა აეყვანა სხვა ადვოკატი, რაც ასევე დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან და მისმა ახალმა ადვოკატმა გაასაჩივრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, თუმცა იმის გამო, რომ სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დადასტურდა სასამართლოს მხრიდან ადვოკატ მზია თომაშვილის ინფორმირებულობის ფაქტი, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 10 თებერვალს არ დააკმაყოფილა საჩივარი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2020

წლის 9 ივლისს, ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღო განჩინება, რითაც უცვლელი დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა ნინო გველესიანის საჩივარი.

1.6 აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ნინო გველესიანმა მიმართა სასამართლოს სამოქალაქო წესით და მოითხოვა მოპასუხე ადვოკატისაგან ზიანის ანაზღაურება. განხილვის კოლეგიაში საქმის განხილვისას ნინო გველესიანმა წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N2/25168-21). აღნიშნული გადაწყვეტილებით, ადვოკატ მზია თომაშვილს ნინო გველესიანის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა, კერძოდ, ადვოკატ მზია თომაშვილს ნინო გველესიანის სასარგებლოდ დაეკისრა ჰონორარის სახით გადახდილი 1000 აშშ დოლარის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება 7460 აშშ დოლარის ოდენობით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მზია თომაშვილმა 2022 წლის 22 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატმა მზია თომაშვილმა ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 11 მაისისა და 2023 წლის 21 და 30 ივნისის ონლაინ ფორმატით გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომებზე. ადვოკატმა მზია თომაშვილმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სანოტარო წესით 01.05.2023 წელს გაცემული მინდობილობა N230548579, რომლის მიხედვითაც, ადვოკატ მზია თომაშვილის წარმომადგენლები იყვნენ ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი და ადვოკატი ფ. ს.. ადვოკატმა მზია თომაშვილმა მოგვიანებით დააზუსტა, რომ ეთიკის კომისიაში მის ინტერესებს წარმოადგენდა მხოლოდ ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი. ადვოკატი მზია თომაშვილი განხილვის კოლეგიის სხდომებს ესწრებოდა წარმომადგენელთან - ადვოკატ ზაზა ხატიაშვილთან ერთად.

2.2 ადვოკატმა მზია თომაშვილმა განხილვის კოლეგიის 11 მაისის სხდომაზე დაადასტურა, რომ ის, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნინო გველესიანს (მოპასუხე) სამოქალაქო საქმეზე, სადაც მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა ა. დ. (მოსარჩელე). ადვოკატმა განმარტა, რომ ა. დ.-ის მოთხოვნას წარმოადგენდა ნინო გველესიანისათვის 7460 აშშ დოლარის დაკისრება. ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ მას ჰქონდა ა. დ.-ის ხელწერილი, რაც ადასტურებდა, რომ ნინო გველესიანს მოწინააღმდეგე მხარისათვის სადავო თანხა გადახდილი ჰქონდა. ნინო გველესიანს ადვოკატისათვის ჰონორარის სახით 1000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, ხოლო ადვოკატ მზია თომაშვილს ნინო გველესიანის სამოქალაქო საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი და აღნიშნულ სასამართლო დავაში უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები. ადვოკატის განმარტებით, ნინო გველესიანმა ჰონორარის მხოლოდ ნაწილი - 1400 ლარი გადაუხადა და ადვოკატს არ გადასცა მნიშვნელოვანი მტკიცებულება - ა. დ.-ის ხელწერილი. ადვოკატის განმარტებით, კლიენტი სთხოვდა პროცესის გაჭიანურებას და გაურკვეველი მიზეზების გამო არ ცხადდებოდა პროცესებზე. ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებისამებრ წარადგინა შესაგებელი, ესწრებოდა სასამართლო პროცესებს და კლიენტის

ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს, კერძოდ, ადვოკატმა მოსამართლე მადი ჩანტლაძეს დაუყენა აცილება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ და ნინო გველესიანის სამოქალაქო საქმის განხილვა გადაიდო.

2.3 ადვოკატმა მზია თომაშვილმა განმარტა, რომ ნინო გველესიანის საქმის წარმოებისას, მას შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, რის გამოც რამდენიმე თვით საჭიროებდა საზღვარგარეთ წასვლას. ადვოკატმა აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია მიაწოდა ნინო გველესიანს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი მზია თომაშვილი აღარ იქნებოდა ნინო გველესიანის ადვოკატი და საჩივრის ავტორს სხვა ადვოკატი უნდა მოეძებნა. ადვოკატის განცხადებით, დროის დასახელებულ მონაკვეთში მას დაურეკა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - ლია ავალიშვილის თანაშემწემ ნინო გველესიანის სამოქალაქო საქმეზე და აცნობა სხდომის თარიღი. ადვოკატმა განუმარტა მოსამართლის თანაშემწეს, რომ ის ვერ შეძლებდა პროცესზე გამოცხადებას, რადგან ის აღარ იყო ნინო გველესიანის წარმომადგენელი და სთხოვა მას სხდომაზე ინფორმაცია მიეწოდებინა უშუალოდ მხარისათვის. ადვოკატმა მზია თომაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოსამართლის თანაშემწემ სხდომაზე დაბარებისას არ განუმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაცია, შესაბამისად, ის ვერ ჩაითვლება სასამართლოს მიერ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ინფორმირებულად. ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების არიდებისა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ის 2019 წლის ოქტომბრის ბოლოს, 300 არაგველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა ნინო გველესიანს და მიაწოდა ინფორმაცია, რომ მის სამოქალაქო საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი ჩაინიშნა 25 ნოემბერს და რადგან ის აღარ იყო მომჩივანის ადვოკატი და ამასთან ერთად, 15 ნოემბერს მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ, ის ვერ გაუწევდა ნინო გველესიანს წარმომადგენლობას. მხარეთა შეთანხმებით, ვინაიდან ადვოკატმა საქმისწარმოება შეთანხმებული მოცულობით ვერ გაუწია კლიენტს, ნინო გველესიანს აღარ ეკისრებოდა ჰონორარის მთლიანად გადახდის ვალდებულება. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორისათვის აღნიშნული პირობები მისაღები იყო და მას პრეტენზია არ განუცხადებია. ადვოკატ-კლიენტის შეხვედრას ესწრებოდნენ მზია თომაშვილის სხვა კლიენტები: ფ. და მ. მ-ები.

2.4 2023 წლის 11 მაისის, 2023 წლის 21 და 30 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომებზე ადვოკატ მზია თომაშვილის წარმომადგენელმა ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ადვოკატ მზია თომაშვილის ინფორმირება მოხდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესის დარღვევით და მოსამართლის თანაშემწემ არ განუმარტა ადვოკატს, რომ მას ევალებოდა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება, რაც დასტურდება 2019 წლის 15 ოქტომბრის ტელეფონით სასამართლოში დაბარების შეტყობინების აქტით. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, ადვოკატი ვერ ჩაითვლება კანონის წესის შესაბამისად ინფორმირებულად და ტელეფონით სასამართლოში დაბარების შეტყობინების აქტი წარმოადგენს ბათილ აქტს. გამომდინარე აქედან, ადვოკატ მზია თომაშვილს ვერ დაეკისრებოდა ვალდებულება ინფორმაცია მიეწოდებინა საჩივრის ავტორისათვის და მის მიერ დარღვეულად არ უნდა ჩაითვალოს პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი

კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატ მზია თომაშვილის წარმომადგენელმა - ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/25168-21, მათ მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2.5 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა მზია თომაშვილმა იშუამდგომლა მოწმეების: ფ. ს.-ის, თ. ჭ.-ის, ფ. მ. და მ. მ.-ის გამოკითხვაზე, რაც დაკმაყოფილდა კოლეგიის მიერ. ადვოკატმა უზრუნველყო მოწმეების: ფ. ს.-ისა და თ. ჭ.-ის გამოცხადება და მოხსნა შუამდგომლობა ფ. და მ. მ-ების გამოკითხვაზე.

3. ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმის ადვოკატ ფ. ს.-ის /სიითი/ განმარტება:

ადვოკატ მზია თომაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე განხილვის კოლეგიის 2023 წლის 21 ივნისის სხდომაზე მოწმის სტატუსით გამოიკითხა ადვოკატი ფ. ს.. მოწმის განმარტებით, მასსა და ადვოკატ მზია თომაშვილს ჰქონდათ საერთო ოფისი, სადაც 2019 წლის შემოდგომაზე ხშირად მიდიოდა ნინო გველესიანი. მოწმემ განმარტა, რომ მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა საჩივრის ავტორთან და ნინო გველესიანი ხშირად ესაუბრებოდა მის სამართლებრივ პრობლემებზე. მოწმემ დაადასტურა, რომ 2019 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში, მათ ოფისში, ადვოკატმა მზია თომაშვილმა ნინო გველესიანს აცნობა სასამართლოს სხდომის თარიღი და განუმარტა, რომ ის სამკურნალოდ მიდიოდა საზღვარგარეთ, ვეღარ შეძლებდა პროცესზე დასწრებასა და კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევას. მოწმის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია მას თავად საჩივრის ავტორმა მიაწოდა. კოლეგიის თავმჯდომარის შეკითხვაზე, მოწმეს ახსოვდა თუ არა ადვოკატ მზია თომაშვილის სხვა რომელიმე საქმე ან კლიენტი, ვისთანაც ადვოკატი 2019 წელს მუშაობდა, მოწმემ ვერ შეძლო ასეთი საქმის ან/და პიროვნების გახსენება.

4. ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმის ადვოკატ თ. ჭ.-ის /სიითი N/ განმარტება:

ადვოკატ მზია თომაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე განხილვის კოლეგიის 2023 წლის 21 ივნისის სხდომაზე მოწმის სტატუსით გამოიკითხა ადვოკატი თ. ჭ.. თ. ჭ.-ის განმარტებით, დასახელებულ პერიოდში ის სტაჟიორი იყო იმ საადვოკატო ბიუროში, სადაც ოფისი ჰქონდა ადვოკატ მზია თომაშვილს. მოწმემ განმარტა, რომ როგორც სტაჟიორი, ის ხშირად ესწრებოდა კლიენტებთან მოლაპარაკების პროცესებს და ზუსტად გაიხსენა 2019 წლის შემოდგომაზე ადვოკატ მზია თომაშვილის მიერ ნინო გველესიანის ინფორმირების ფაქტი. კერძოდ, მოწმის განმარტებით, ადვოკატმა მზია თომაშვილმა, მათ ოფისში, განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ ის სამკურნალოდ მიდიოდა საზღვარგარეთ, ვეღარ შეძლებდა პროცესზე დასწრებასა და კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევას, რაზეც ნინო გველესიანმა თანხმობა განაცხადა. მოწმის განმარტებით, ის უშუალოდ არ იყო ჩართული ნინო გველესიანის საქმის წარმოებაში, თუმცა ახსოვს საჩივრის ავტორი, რამდენადაც ნინო გველესიანი ხშირად მიდიოდა მათთან ოფისში და კარგი დამოკიდებულება ჰქონდა იქ მომუშავე ადვოკატებთან და იურისტებთან. კოლეგიის თავმჯდომარის შეკითხვაზე, მოწმეს ახსოვდა თუ არა ადვოკატ მზია

თომაშვილის სხვა რომელიმე საქმე ან კლიენტი, ვისთანაც ადვოკატი 2019 წელს მუშაობდა, ადვოკატმა გაიხსენა მხოლოდ ერთი ისეთი საქმე, რომელზეც ის ადვოკატ მზია თომაშვილთან ერთად მუშაობდა, თუმცა ვერ გაიხსენა დეტალები.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2022 წლის 13 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მზია თომაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა მზია თომაშვილმა დაარღვია კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა, ბ) ქვეპუნქტები, 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდეგში - „ეთიკის კოდექსი"), მუხლი 8.6), რადგან საჩივრის ავტორს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ მის სამოქალაქო დავაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩაინიშნა პროცესი და კლიენტის უფლებების დაცვის მიზნით არ დაესწრო სასამართლო სხდომას, რის გამოც 25.11.2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნინო გველესიანის სამოქალაქო საქმეზე N2/3365-18 მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

6.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

6.1.1 ადვოკატ მზია თომაშვილსა და ნინო გველესიანს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2018 წელს, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. ადვოკატ მზია თომაშვილს ნინო გველესიანისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში, საქმეზე N2/336657-18, სადაც მოდავე მხარეებს წარმოადგენდნენ ა. დ. (მოსარჩელე) და ნინო გველესიანი (მოპასუხე), რისთვისაც ნინო გველესიანმა ადვოკატ მზია თომაშვილს 21.12.2018 წელს, ერთი წლის ვადით, სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა და გადასცა ჰონორარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. 2018 წლის 21 დეკემბრის სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა N181543506.

6.1.2 ადვოკატმა მზია თომაშვილმა, ნინო გველესიანის ინტერესების დაცვის მიზნით, განახორციელა შემდეგი საპროცესო მოქმედებები: 27.12.2018 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარადგინა შესაგებელი, ხოლო 24.04.2019 წელს, სამოქალაქო საქმეზე N2/3365-18 დაესწრო საქალაქო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესს, სადაც დააყენა შუამდგომლობა მოსამართლე მადი ჩანტლაძის აცილების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ და საქმის განხილვა გადაიდო მოსამზადებელი ეტაპიდან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 27.12.2018 წელს წარდგენილი შესაგებელი, საქმეზე N2/336657-18 (მხარეები: ა. დ. და ნინო გველესიანი);
2. 24.04.2019 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი, საქმეზე N2/33665-18.

6.1.3 ნინო გველესიანის სამოქალაქო საქმეზე N2/33665-18, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 25 ნოემბერს ჩაინიშნა სასამართლო პროცესი, რომელსაც არ ესწრებოდნენ მოპასუხე ნინო გველესიანი და მისი ადვოკატი მზია თომაშვილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ა. დ.-ის სარჩელი და ნინო გველესიანს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება - 7460 აშშ დოლარის ოდენობით და 649 ლარის (საპროცესო ხარჯი) გადახდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/33665-18.

6.1.4 ნინო გველესიანმა 05.12.2019 წელს, სასამართლოსაგან ჩაიბარა თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.11.2019 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N2/33665-18, რაც გაასაჩივრა კანონით დადგენილი წესით. მომჩივანი მხარე საჩივარში უთითებდა, რომ ის ინფორმირებული არ ყოფილა 25.11.2019 წლის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის თარიღის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.02.2020 წლის განჩინებით ნინო გველესიანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, იმ მიზეზით, რომ მოპასუხის წარმომადგენელს - მზია თომაშვილს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა სასამართლო უწყება, 25.11.2019 წლის სასამართლო სხდომის თარიღის თაობაზე, თუმცა არც წარმომადგენელი და არც მხარე პროცესზე არ გამოცხადებულან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ნინო გველესიანის 05.12.2019 წლის ხელწერილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.11.2019 წლის გადაწყვეტილების (საქმე N N2/33665-18) ჩაბარების თაობაზე.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.02.2020 წლის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6.1.5 ნინო გველესიანმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.02.2020 წლის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.11.2019 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიცია და ნინო გველესიანის საჩივარი არ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.07.2020 წლის განჩინებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 09.07.2020 წლის განჩინება საქმეზე N2ბ/1299-20.

6.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

6.2.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა მზია თომაშვილმა ნინო გველესიანს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 25.11.2019 წელს ჩაინიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა სამოქალაქო საქმეზე N2/33665-18, სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ ა. დ. და ნინო გველესიანი; არ დაესწრო სასამართლო პროცესს, რის გამოც სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება ნინო გველესიანის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ.

ეთიკის კომისიაში საქმის წარმოებისას, მხარეებმა წარმოადგინეს ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებები ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 25.11.2019 წელს ჩაინიშნა სასამართლო სხდომა სამოქალაქო საქმეზე N2/33665-18, სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა ნინო გველესიანი. ადვოკატმა მზია თომაშვილმა უარყო აღნიშნული ფაქტი და განმარტა, რომ მან ნინო გველესიანს მიაწოდა სრული და ზუსტი ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ. ადვოკატის წარმომადგენელმა ზაზა ხატიაშვილმა, განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააზუსტა, რომ ადვოკატ მზია თომაშვილს არ ეკისრებოდა ნინო გველესიანისათვის სადავო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ვინაიდან მან კანონით დადგენილი წესის დაუცველად მიიღო სასამართლო უწყება და შესაბამისად, უწყება არ უნდა ჩაითვალოს ჩაბარებულად, ხოლო ადვოკატი ინფორმირებულად.

განხილვის კოლეგიის შეფასებით, კლიენტის ინფორმირების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). „კლიენტისათვის საქმეზე სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“, 20.09.2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე *N*066/20, 4.2.1).

ადვოკატმა მზია თომაშვილმა საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ორი მოწმე: ადვოკატი ფ. ს. და ადვოკატი თ. ჭ., რომლებმაც განმარტეს, რომ ისინი ესწრებოდნენ ადვოკატ მზია თომაშვილის მიერ ნინო გველესიანის ინფორმირების ფაქტს, თუმცა კომისიას მათი ჩვენებები არ მიაჩნია სარწმუნოდ. ჯერ ერთი, მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ ურთიერთობის შეწყვეტის, საზღვარგარეთ გამგზავრებისა და სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ მომჩივანს შეატყობინა 2019 წლის ოქტომბრის ბოლოს, 300

არაგველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე (იხ. გადაწყვეტილების 2.3 პუნქტი); მოწმეებმა კი განმარტეს, რომ ეს საუბარი შედგა მათ ოფისში. მეორე, მოწმეებმა დეტალურად აღწერეს საუბარი მომჩივანსა და მოპასუხე ადვოკატს შორის, რადგან, მათი განმარტებით, კლიენტები ხშირად მიდიოდნენ მათ ოფისში და ესმოდათ საუბარი, თუმცა ვერ გაიხსნეს სხვა რომელიმე საქმე, რომელზეც ადვოკატი მზია თომაშვილი 2019 წელს მუშაობდა და სადაც ანალოგიურად მოუწევდა კლიენტების ინფორმირება, რადგან ქვეყნიდან მიემგზავრებოდა ხანგრძლივი დროით. მოწმეთა ჩვენებების სანდოობის შეფასებისას, განხილვის კოლეგიამ მხედველობაში მიიღო მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, მათ შორის მოწმეთა დამოკიდებულება მოდავე მხარეების მიმართ. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ფ. ს. და თ. ჭ. წარმოადგენენ ადვოკატ მზია თომაშვილის კოლეგებს, რომლებსაც მრავალწლიანი პროფესიული ურთიერთობა აკავშირებთ და შესაბამისად, კეთილგანწყობილები არიან მოპასუხე ადვოკატის მიმართ. ამავდროულად, მოწმეებმა სრული სიცხადით აღწერეს და გაიხსენეს ადვოკატ მზია თომაშვილისა და ნინო გველესიანის ურთიერთობა, მაშინ როცა ვერ შეძლეს რომელიმე სხვა საქმის ან ნინო გველესიანის გარდა სხვა კლიენტის გახსენება, ისეთ საქმეებზე, რომლებზეც ადვოკატი 2019 წელს მუშაობდა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ დისციპლინურ წარმოებაში მოწმის ახსნა-განმარტება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას, თუმცა, ამავდროულად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოწმეთა სანდოობის საკითხს. ადვოკატი, როგორც თვითრეგულირებადი პროფესიის სახე, მოწმის სახით, არათუ არასწორ ინფორმაციას/ყალბ მტკიცებულებას არ უნდა წარუდგენდეს ეთიკის კომისიას/მოსამართლეს (ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.3, 9.4), არამედ, პირიქით, მან მართებულად უნდა აღიქვას ადვოკატის როლი მართლმსაჯულების, საზოგადოების, კლიენტისა და პროფესიის წინაშე და მისი ქმედებებით უნდა შეეცადოს დაიცვას პროფესიული რეპუტაცია და აამაღლოს საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის ხარისხი. მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, რომელთა ნაწილი უთითებდა, რომ მოპასუხე ადვოკატმა მის ოფისში მიაწოდა მომჩივანს ინფორმაცია, ხოლო - ნაწილი კი უთითებდა, რომ 300 არაგველის მეტროსთან მოხდა კლიენტის ინფორმირება ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, განხილვის კოლეგიას არ შეექმნა შინაგანი რწმენა, რომ ადვოკატმა მზია თომაშვილმა ნინო გველესიანს მიაწოდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ. კომისიისათვის ნაკლებ სარწმუნო იყო ასევე ის გარემოება, რომ მოპასუხე მხარის ოფისში მომუშავე ადვოკატებს, რომლებმაც მოწმის სახით მისცეს კომისიას ახსნა-განმარტება, მხოლოდ ეს საქმე ახსოვდათ და დეტალებში აღწერეს როგორი ფორმით მოხდა მომჩივანის ინფორმირება, მაშინ, როდესაც ვერ გაიხსენეს ვერც ერთი სხვა საქმე, სადაც ადვოკატს ანალოგიურად მოუწევდა ურთიერთობის შეწყვეტა, რადგან ქვეყნიდან მიემგზავრებოდა ხანგრძლივი დროით. გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, ადვოკატ მზია თომაშვილს არ წარმოუდგენია სხვა მტკიცებულება, რაც განხილვის კოლეგიას დაარწმუნებდა, რომ ადვოკატმა კლიენტს ინფორმაცია მიაწოდა ურთიერთობის შეწყვეტის, მისი გამგზავრებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.11.2019 წლის სხდომის თარიღზე. კომისია ვერ გაიზიარებს მოპასუხე ადვოკატის არგუმენტს, რომ „მოსამართლის თანაშემწემ მას არ განუმარტა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესახებ“ (იხ. პარაგრაფი 2.4). კომისიის შეფასებით, ადვოკატის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ შეფასდება ის ფაქტი, რომ მოსამართლის

თანაშემწემ ადვოკატს არ განუმარტა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. მიუხედავად იმისა, სასამართლო ამ ინფორმაციას მიაწვდიდა თუ არა ადვოკატს, პროფესიული სტანდარტები ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის დროულ და სწორ ინფორმირებას, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, რომლებიც არსებითად უკავშირდება კლიენტის საქმის შედეგს, იქნება ეს ურთიერთობის შეწყვეტა, სხდომაზე გამოუცხადებლობა, თანმდევი შედეგებით თუ ადვოკატის მხრიდან ქვეყნის დატოვება. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

განხილვის კოლეგიამ ასევე არ გაიზიარა მოპასუხე ადვოკატის განმარტება იმის თაობაზე, რომ ის აღარ წარმოადგენდა ნინო გველესიანის ადვოკატს და ამავდროულად, მან კანონით დადგენილი წესის დაუცველად მიიღო სასამართლო უწყება და შესაბამისად, უწყება არ უნდა ჩაითვალოს ჩაბარებულად, ხოლო ადვოკატი ინფორმირებულად, რადგან ვერ დასტურდება ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ კლიენტის ინფორმირება. განხილვის კოლეგიის სხდომებზე ადვოკატმა მზია თომაშვილმა დაადასტურა, რომ მას 15.10.2019 წელს, ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა მოსამართლე ლია ავალიშვილის თანაშემწე და განუმარტა, რომ 25.11.2019 წელს, 17:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული იყო სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა საქმეზე N2/33665-18. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ დასახელებულ პერიოდში კვლავ ძალაში იყო ნინო გველესიანის მიერ ადვოკატ მზია თომაშვილისათვის 21.12.2018 წელს ერთი წლის ვადით გაცემული მინდობილობა N181543506. ხოლო ადვოკატს, ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ფაქტს, რომ ნინო გველესიანსა და მას შორის დროის ზემოაღნიშნულ პერიოდში აღარ არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

დასახელებულ შემთხვევაში ადვოკატი არ უარყოფს სასამართლოს უფლებამოსილ თანამშრომელთან ნინო გველესიანის საქმეზე კომუნიკაციას და ადასტურებს, რომ მოსამართლის თანაშემწემ მას მიაწოდა ინფორმაცია 25.11.2019 წლის სასამართლო სხდომაზე (საქმე N2/33665-18). განხილვის კოლეგიის შეფასებით, მოსამართლის თანაშემწისაგან ინფორმაციის მიღებისთანავე, ადვოკატს წარმოეშვა პროფესიული ვალდებულება აღნიშნული ინფორმაცია კლიენტისათვის გადაეცა. განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა მხარეთა მიერ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15.10.2019 წლის „ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ“ სატელეფონო აქტზე, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატი მზია თომაშვილი ესაუბრა თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილ თანამშრომელს და მიიღო ინფორმაცია, რომ ნინო გველესიანის სამოქალაქო საქმეზე სასამართლო სხდომა უნდა ჩანიშნულიყო 25.11.2019 წელს; თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.02.2019 წლის განჩინებაზე, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ „მხარე, კერძოდ მისი წარმომადგენელი, სათანადოდ იყო ინფორმირებული სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე.“ 23.12.2022 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, საქმეზე N2/25168-21. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ადვოკატ მზია თომაშვილს ნინო გველესიანის სასარგებლოდ დაეკისრა ნინო გველესიანისათვის ჰონორარის - 1000 აშშ დოლარისა 7460 აშშ

დოლარის (ზიანის ანაზღაურება), იქიდან გამომდინარე, რომ მან კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია 25.11.2019 წლის სხდომის თარიღის შესახებ და არც თავად დაესწრო სასამართლო პროცესს. მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერებისა და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე კომისიის შეფასებით, არ დგინდება ადვოკატ მზია თომაშვილის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტი, როგორც მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულებაზე, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოში 25.11.2019 წელს ჩანიშნული სხდომის თარიღის ინფორმირებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. მოწმეთა ახსნა-განმარტება;
3. 21.12.2018 წელს სანოტარო წესით, ერთი წლის ვადით გაცემული მინდობილობა N181543506;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.11.2019 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N2/33665-18;
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.02.2020 წლის განჩინება საქმეზე N2/33665-18;
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.12.22 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N2/25168-2.

7. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა განმარტებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და ადგენს, რომ ადვოკატ მზია თომაშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა, ბ), 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები: 3, 8.5, 8.6 და 8.7.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატმა მზია თომაშვილმა დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

8.2 „ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად“ (სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისიის“, 22.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N051/19).

8.3 „ხელშეკრულების დადების შემდეგ ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება, იმოქმედოს კლიენტის სახელითა და მისი ინტერესების გათვალისწინებით რწმუნებულებით განსაზღვრულ ფარგლებში. ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა საქმის წარმოებისას კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების დაცვა“ (ეთიკის კომისიის 20.02.2013 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N055/21).

8.4 „კლიენტისთვის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მთავარი მიზანი სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევაა..... შესაძლებელია სასურველი შედეგი ყველა შემთხვევაში ვერ დადგეს, მაგრამ ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება იმისათვის, რომ კლიენტი იყოს დაცული“ (ეთიკის კომისიის 01.03.2023 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N076/21).

8.5 საადვოკატო მომსახურების თაობაზე ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების მომენტიდან, ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კლიენტის საქმე აწარმოოს გულისხმიერად, რაც მოიცავს კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას და მჭიდრო კავშირშია ადვოკატის მიერ საკუთარი ვალდებულების კეთილსინდისიერ შესრულებასთან. ადვოკატი უზრუნველყოფს კლიენტისათვის ზუსტი და სწორი ინფორმაციის მიწოდებას და კლიენტს აძლევს რჩევას, პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, რის შემდეგაც კლიენტი იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, კლიენტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებელია, რომ ადვოკატისაგან კლიენტი ჯეროვნად იყოს ინფორმირებული საქმისწარმოებაზე და ფლობდეს ზუსტ და სწორ ინფორმაციას.

8.6 „საადვოკატო მომსახურების თაობაზე ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების მომენტიდან, ადვოკატს წარმოეშობა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. კლიენტის ინფორმირება მოიცავს კლიენტის დროულ და სწორ ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კლიენტის დროული და სწორი ინფორმირება ემსახურება იმ მიზანს, რომ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კლიენტი აქტიურად იყოს ჩართული და მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები მის სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით. მართალია, ადვოკატი არის კლიენტის ინტერესების დამცველი, თუმცა, ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატირების პროცესში ადვოკატის როლი შემოიფარგლება კლიენტისათვის სამართლებრივი რჩევის მიცემით და არა კლიენტის ნაცვლად

გადაწყვეტილებების მიღებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ამ პროცესმა კლიენტს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა უნდა მისცეს“ (ეთიკის კომისიის 27.10.2022 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N066/20).

8.7 „ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/10, 5.12, 5.13).

8.8 მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მიხედვით ადვოკატს უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის - ნინო გველესიანის ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე N2/33665-18). აღნიშნული მიზნით, საჩივრის ავტორმა ადვოკატს 21.12.2018 წელს სანოტარო წესით, ერთი წლის ვადით გაუფორმა მინდობილობა რ/ნ N181543506. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.06.2015 წლის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1338-1376-2014).

8.9 ადვოკატმა მზია თომაშვილმა, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, განახორციელა გარკვეული საპროცესო მოქმედებები ნინო გველესიანის სამოქალაქო საქმეზე. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 27.12.2018 წელს, საქმეზე N2/336657-18 წარადგინა შესაგებელი; 24.04.2019 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ მოსამზადებელ სხდომაში, სადაც დააყენა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ და შესაბამისად, გადაიდო სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა. თუმცა, ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია იმ ფაქტის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეზე N2/336657-18, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა

ჩაინიშნა 25.11.2019 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს მოსამზადებელი სხდომის თარიღი ეცნობა 15.10.2019 წელს, სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. ადვოკატი არ გამოცხადდა 25.11.2019 წელს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე, რის გამოც, მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 25.11.2019 წელს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საჩივრის ავტორს - ნინო გველესიანს, მოსარჩელის - ა. დ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7460 აშშ დოლარისა და საპროცესო ხარჯის - 649 ლარის გადახდა. ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას ადვოკატმა მზია თომაშვილმა მიუთითა, რომ 15.10.2019 წელს, მოსამართლის თანაშემწისაგან მოსამზადებელი სხდომის თაობაზე ინფორმაციის მიღებისას, იმის გამო, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, ის უკვე აღარ წარმოადგენდა ნინო გველესიანის ადვოკატს და აღარ ეკისრებოდა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რის შესახებაც აცნობა მოსამართლის თანაშემწეს და სთხოვა აღნიშნული ინფორმაცია უშუალოდ მხარისათვის შეეტყობინებინა. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მიუხედავად ამისა, მან კლიენტს სადავო ფაქტის შესახებ ინფორმაცია მაინც მიაწოდა, რასაც ესწრებოდა ორი მოწმე. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატ მზია თომაშვილს, რომელიც ამტკიცებს, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას და არა მომჩივანს, რომელიც უარყოფს ადვოკატის მხრიდან ინფორმაციის მიღებას. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატმა უნდა წარუდგინოს კომისიას დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულება, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე; მან ყველა შესაძლებლობა გამოიყენა კლიენტის ინფორმირების მიზნით და კლიენტისათვის ცნობილი იყო სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის თარიღი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ შესაძლოა ადვოკატს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ჰქონდა ობიექტური მიზეზი ვეღარ გაეგრძელებინა კლიენტის ინტერესების წარმოდგენა, თუმცა პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად, მას ეკისრებოდა ვალდებულება არ დაეტოვებინა კლიენტი ინფორმაციულ ვაკუუმში, დროულად მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია საქმისწარმოებაზე, მითუმეტეს, რომ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას გადამწყვეტი გავლენა ექნებოდა საქმისწარმოებაზე. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა გულისხმიერად არ აწარმოა კლიენტის საქმე; 25.11.2019 წლის სასამართლო პროცესზე კლიენტი დატოვა სამართლებრივი დაცვის გარეშე; ადვოკატის ქმედებით, კლიენტს მიადგა ფინანსური ზიანი და დაკარგა შესაძლებლობა დაეცვა საკუთარი ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისას. ადვოკატ მზია თომაშვილს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის კლიენტს დროულად აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე ან მას ჰქონდა საპატიო მიზეზი, რომელიც შეუძლებელს ხდიდა გარკვეული პერიოდით კლიენტის ინფორმირებას. დისციპლინურ საქმეში არ არის წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რაც განხილვის კოლეგიას მისცემდა შესაძლებლობას დაედგინა ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირება საქმის მიმდინარეობის თაობაზე (იხ. პარაგრაფი 6.2.1). შესაბამისად, განხილვის კოლეგია, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ ადვოკატ მზია თომაშვილის მხრიდან დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

(ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 5 (ა, ბ), 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.5 და 8.6).

8.10 გარდა იმისა, რომ ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია ურთიერთობის შეწყვეტის, საზღვარგარეთ გამგზავრებისა და სასამართლო სხდომის თარიღის/დროის შესახებ, არც თავად არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მომჩივანს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულ ნაწილში ადვოკატმა დაარღვია დაცვის უწყვეტობისა და ნდობის პრინციპი.

8.11 ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.7).

8.12 კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

8.13 „მიუხედავად ადვოკატის უფლებისა, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კლიენტთან წარმომადგენლობა, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ სამართლებრივი მომსახურების შეწყვეტა ადვოკატის ინიციატივით არ უნდა განხორციელდეს ისეთ ვითარებაში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით, რის გამოც არსებობს საფრთხე იმისა, რომ კლიენტს შეეზღუდოს დაცვის უფლებით სარგებლობა. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგიამ იმსჯელა იმ საკითხის ირგვლივ, თუ რამდენად იყო ადვოკატის მიერ დაცული „გონივრული ვადა“ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე. გონივრული ვადის შეფასებისას, განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს იმ დროს, რომელიც საკმარისი იქნებოდა კლიენტის მიერ ახალი ადვოკატის მოსაძიებლად და ამ ახალი ადვოკატის მიერ საქმის გასაცნობად და მოსამზადებლად. ორივე ფაქტორის გათვალისწინება არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ახალი ადვოკატის ჩართულობისა და საქმის გაცნობის მოტივით სხდომის გადადება არ წარმოადგენს მოსამართლის ვალდებულებას, ეს მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილებაა. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ სასამართლომ ამ მოტივით არ გადადოს სხდომა, ყოველთვის არსებობს. აქედან გამომდინარე, განხილვის კოლეგიის განმარტებით, ეს რისკი, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს კლიენტის ინტერესებს და შეუზღუდოს მას დაცვის უფლებით სარგებლობა, ადვოკატმა არ უნდა გაწიოს“ (ეთიკის კომისიის 22.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N,026/17, 8.13).

8.14 „ადვოკატის მიერ კლიენტთან საადვოკატო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს იმ პირობებსა და გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე ნათლად განუმარტა კლიენტს და შეწყვიტა მასთან ყველა სახის სამართლებრივი

ურთიერთობა, მათ შორის კლიენტთან შეთანხმებით ან მისი მეშვეობით უნდა გააუქმდეს ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ადვოკატის ვალდებულებები კლიენტის მიმართ“ (ეთიკის კომისიის 13.12.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N048/12, 3.3).

8.15 „ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის განხილვაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს იმ პირობებში, რომ კლიენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით და გონივრული ვადა, რომ ახალი ადვოკატი სათანადოდ გაეცნოს საქმის მასალებს და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა. ამასთან ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნას გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლებების რეალიზაციის ხელშემწყობი იქნება“ (ეთიკის კომისიის 13.12.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N048/12, N048/12, 3.6).

8.16 „ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ეს თვისებები იმავდროულად ადვოკატის ვალდებულებაა და ამ ვალდებულებათა შორის იგულისხმება ყველა ის თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში“ (ეთიკის კომისიის 03.12.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N033/17, 7.17).

8.17 კომისიის შეფასებით, მოპასუხე ადვოკატმა კლიენტი დატოვა დაცვის უფლების გარეშე, როდესაც არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, არ შეატყობინა კლიენტს გამოუცხადებლობის შესახებ და არ განუმარტავს მისთვის გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგების თაობაზე. ადვოკატის ამ ქმედებას შედეგად მოჰყვა სასამართლოს მხრიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, რომლითაც კლიენტს მიადგა მატერიალური ზიანი - მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულება. კომისია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, მოპასუხე ადვოკატს მომჩივანის სასარგებლოდ დაეკისრა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში არ არის კანონიერ ძალაში შესული, რის გამოც, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ეს მტკიცებულება, როგორც კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების დამადასტურებელი კიდევ ერთი მტკიცებულება.

8.18 კომისიამ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ადვოკატის ქმედებები შეაფასა ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობაში და სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაადგინა, რომ მოპასუხე ადვოკატის მხრიდან დარღვეულია კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციური, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის, ნდობისა და დაცვის უწყვეტობის ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა, ბ), 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები: 3, 8.5, 8.6 და 8.7), რადგან კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, სასამართლო უწყების ჩაბარების მიუხედავად, კლიენტს არ

მიაწოდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის თარიღისა და დროის შესახებ და არ განუმარტა მას სხდომაზე გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგების თაობაზე, რის გამოც, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და კლიენტს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდის ვალდებულება.

8.19 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

8.20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

8.21 დისციპლინური სახდელის შეფარდებისას ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა იმ ფაქტებით, რომ საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამასთანავე, იმის გამო, რომ ადვოკატმა არ აცნობა კლიენტს სასამართლო სხდომის თარიღი, კლიენტმა ვერ შეძლო საკუთარი პოზიცია დაეცვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.11.2019 წლის მოსამზადებელ სხდომაზე (საქმე N N2/33665-18) და მას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 25.11.2019 წლის გადაწყვეტილებით, ნინო გველესიანს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება - 7460 აშშ დოლარის ოდენობით და საპროცესო ხარჯის - 649 ლარის გადახდა. განხილვის კოლეგიამ ასევე გაითვალისწინა აღნიშნულ საქმეში არსებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები: ფაქტი, რომ ადვოკატი არ არის დისციპლინირებული გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, ადვოკატის პოზიცია, რომ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით აღარ შეეძლო კლიენტის საქმის წარმართვა, რაც სადავოდ არ გაუხდია მომჩივანს. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ პირობებში, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევების შინაარსიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის პრაქტიკის (ეთიკის კომისიის 22.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N026/17; ეთიკის კომისიის 13.12.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N047/12; ეთიკის კომისიის 30.04.12 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N048/12; ეთიკის კომისიის 22.11.2019 წლის წერილობითი რეკომენდაცია N008/19 და სხვ.) გათვალსიწინებით, ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომებისათვის მის მიმართ გამოსაყენებელი პროპორციული პასუხისმგებლობის ღონისძიება იქნება დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

8.22 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა) მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35– ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №075/22 დადგინდეს ადვოკატ მზია თომაშვილის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ მზია თომაშვილის /სიითი №1948/1// მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს სახდელი - გაფრთხილება.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/